

პროექტი 3 STEPS: დაუცველი მიგრანტი ახალგაზრდების ინტეგრაციის მეთოდები

2022 წლის 24-25 მაისს გაიმართა პროექტის 3 STEPS ტრანსნაციონალური პარტნიორების შეხვედრა ათენში, საბერძნეთი, როგორც ადგილზე, ასევე ონლაინ რეჟიმში.

სანამ ღონისძიების სპეციფიკას ჩავუღრმავდებით, მანამდე უკეთესად გავიგოთ ამ ინიციატივის კონცეფციის შესახებ.

2015 წლის პარიზის დეკლარაციაში ევროპელმა განათლების მინისტრებმა დააფიქსირეს თავიანთი ვალდებულება ინკლუზიური განათლების, როგორც სოციალური ჩართვის მნიშვნელოვანი კომპონენტის მიმართ. აქედან გამომდინარე, მიგრანტები და ლტოლვილები არიან ადამიანები, რომელთაც დახმარება სჭირდებათ იმისათვის, რომ ინტეგრირდნენ საზოგადოებაში და ჰქონდეთ უწყვეტი და სრულფასოვანი განათლების მიღებისა და შრომის ბაზარზე წვდომის უფლება. მიგრანტებისა და ლტოლვილების შანსების გაზრდის მიზნით, ჩაერთონ თავიანთი მასპინძელი ქვეყნის საგანმანათლებლო და პროფესიულ სისტემაში, პროექტის 3 STEPS ამოცანაა მათთვის საბაზისო უნარ-ჩვევების მიწოდება და სტაბილური საფუძველის შექმნა შემდგომი პირადი მიღწევებისთვის. პროექტის (საბაზისო განათლება და Tandem Now) მიერ დაწინაურებული პრაქტიკა მიზნად ისახავს მოქმედი და ადაპტირებადი სწავლების მეთოდის სტანდარტიზაციას პროექტის განმახორციელებელ ქვეყნებში.

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ახლა დროა ვირტუალურად დავბრუნდეთ ათენში. შეხვედრის დროს პარტნიორებმა განიხილეს დაუცველი მიგრანტი ახალგაზრდების ჩართვის ორივე მეთოდის პილოტირების ფაზების განხორციელება მასწავლებლების/ტრენერების და მენტორების მიერ ტრენინგების გზით პროექტის განმახორციელებელ 5 ქვეყანაში. გარდა ამისა, პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდებისა და ქსელის შექმნის განხილვისას, პარტნიორებმა გაიზიარეს კარგი პრაქტიკა ახალგაზრდების ტრენინგის განხორციელებაში ახალგაზრდა ლტოლვილებთან და მიგრანტებთან ადგილობრივ დონეზე.

პროექტის 3 STEPS ქსელი მიზნად ისახავს უზრუნველყოს არხები, რომელშიც მიგრანტებისა და ლტოლვილების სოციალური ჩართვის აუცილებლობა განათლებისა და პროფესიული მომზადების კუთხით გაზრდის ქსელის ხილვადობას და ძალას იმ 5 ქვეყანაში სადაც განხორციელდება პროექტი

პროექტის მიზანია უზრუნველყოს არხები, რომელშიც მიგრანტებისა და ლტოლვილების სოციალური ჩართვის აუცილებლობა განათლებისა და პროფესიული სწავლების კუთხით გაზრდის მის ხილვადობას და ძალას იმ ქვეყნებში, სადაც განხორციელდება პროექტი (ესპანეთი, თურქეთი, იტალია, საბერძნეთი და საფრანგეთი) სხვადასხვა ერთეულში, მათ შორის უნივერსიტეტებში, კერძო ორგანიზაციებში, ბიზნესის განათლების სფეროში, სკოლებში. აღნიშნული

დაწესებულებები მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ ინკლუზიის წარმატებული მეთოდოლოგიების დანერგვას.

მოსალოდნელი შედეგი იქნება ის, რომ შეიქმნება სკოლების, საჯარო ხელისუფლების, არასამთავრობო და მოხალისე ორგანიზაციების, მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა, ასევე ტრანსნაციონალური ინსტიტუტების ქსელი, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ პოლიტიკის რეფორმა. პროექტის 3 STEPS ქსელში გაწევრიანება ნიშნავს კომუნიკაციურ, სანდო და გაძლიერებულ ურთიერთობას ყველა იმ ადამიანთან, ვინც დაინტერესებულია პროექტით, რომელიც გვინდა შევინარჩუნოთ მისი არსებობის მანძილზე.

როგორ შევუერთდეთ ქსელს? თუ თქვენ ხართ დაინტერესებული მხარე მიგრაციის სფეროში, მუშაობთ ადგილობრივ, ეროვნულ ან ევროპულ დონეზე ხუთი ქვეყნიდან (ესპანეთი, თურქეთი, იტალია, საბერძნეთი და საფრანგეთი) ერთ-ერთში, რათა ხელი შეუწყოს ახალგაზრდა დაუცველი ლტოლვილებისა და მიგრანტების ინტეგრაციას საზოგადოებაში, გჭირდებათ მხოლოდ [დაკავშირება პროექტის 3 STEPS პარტნიორებთან ვებსაიტის მეშვეობით](#).

საერთო ჯამში, შეხვედრა იყო საშუალება იმისა, რომ მთელ კონსორციუმს განეხილა პროექტის პროგრესი, შემუშავებული მასალებითა და მეთოდოლოგიებით ხელი შეეწყოს და მხარი დაეჭირათ მიგრანტებისა და ლტოლვილების ინტეგრაციას!

3STEPS – ლტოლვილთა და მიგრანტთა განათლების ხელშეწყობა არის ევროკავშირის პროექტი, რომელიც დაფინანსებულია [Erasmus Plus KA3](#)-ის მიერ. პროექტში ჩართულია პარტნიორები 5 ქვეყნიდან, კერძოდ, იტალიიდან, საბერძნეთიდან, თურქეთიდან, ესპანეთიდან და საფრანგეთიდან. პროექტი მიზნად ისახავს ორი მეთოდის განვითარებას: პირველი კარგი პრაქტიკა ცნობილია, როგორც „საბაზისო განათლება“ და მეორე კარგი პრაქტიკა, „TANDEM NOW“, რომელშიც ჩართულია ეთნიკური როლური მოდელის მენტორები, მიზნად ისახავს დაეხმაროს ახალგაზრდა მიგრანტებს განავითარონ სოციალური და პროფესიული უნარები, ისევე როგორც აღმოუჩინონ სკოლაში დარჩენისთვის საჭირო მხარდაჭერა.